ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6945595

ნომერი: AR11024326

თარიღი : 19.03.2024

გაცემის თარიღი : 21.03.2024

გაცნობის თარიღი : 21.03.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. კოსტავას , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 19 მარტს №AR11024326 განცხადებით მომართა ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის

№6886887 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.13.031.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ოფისის შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 15 თებერვლიდან 2024 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საოფისე ფართობად 1570.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1575.3 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 336.65 კვ.მ-ის ნაცვლად 340.75 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 2396.37 კვ.მ-ის ნაცვლად 2404.87 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული საოფისე და დამხმარე ფართობები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი საოფისე და დამხმარე ფართობები არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება. აღნიშნული გეგმების ექსპლიკაციებზე ხდება მხოლოდ ფუნქციების დაზუსტება გეგმების შესაბამისად.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: 892023008320 მომზადების თარიღი: 26/09/2023 წ.) №01.10.13.031.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს გიზა კაპიტალი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404934899). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23182820; მომზადების თარიღი: 29/12/2023 წ.) შპს გიზა კაპიტალის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404934899) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი თავდიშვილი. წინამდებარე, განცხადებაზე წარმოდგენილი 2024 წლის 15 იანვრის №1 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - ირაკლი შარაშიძის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2404.87 კვ.მ., საოფისე ფართობად 1575.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად 340.75 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, +26.600 ნიშნულის გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 თებერვლის №6886887 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.